მთავრობის ვალი

„ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში მთავრობის ვალის ნაშთი და საჯარო და კერძო თანამშრომლობის კრიტერიუმების შესაბამისი პროექტების ფარგლებში აღებული ვალდებულებების მიმდინარე ღირებულების ჯამი 2024 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით შეადგენს 32 589.2 მლნ ლარს.

ზემოხსენებული ჯამური ვალდებულება მოიცავს „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სახელმწიფო ვალს, გარდა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღებული ვალდებულებებისა - 32 496.8 მლნ ლარს, საბიუჯეტო ორგანიზაციების სესხების არსებულ ნაშთს - 44.6 მლნ ლარს და საჯარო და კერძო თანამშრომლობის კრიტერიუმების შესაბამისი პროექტების ფარგლებში აღებული ვალდებულებების მიმდინარე ღირებულებას - 47.9 მლნ ლარს.

მთავრობის საგარეო ვალი

მთავრობის საგარეო ვალის ნაშთი, 23 162.0 მლნ ლარი, მთლიანი მთავრობის ვალის 71%-ია. აღნიშნული საკრედიტო რესურსის დიდი ნაწილი მიღებულია მრავალმხრივი და ორმხრივი დონორებისგან/პარტნიორებისგან ქვეყნისათვის პრიორიტეტული ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად. მთავრობის საგარეო ვალის პორტფელი შეღავათიანია და ძირითადად შედგება გრძელვადიანი სესხებისგან - პორტფელის საშუალო შეწონილი საკონტრაქტო ვადიანობა შეადგენს 21.5 წელს, საშუალო შეწონილი ვადიანობა დაფარვამდე შეადგენს დაახლოებით 9.4 წელს, ხოლო მთავრობის საგარეო ვალის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 3.39%-ს.

მთავრობის ვალის სტრუქტურა 2024 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით



საშუალო შეწონილი:
- საპროცენტო განაკვეთი **3.39%**
- საკონტრაქტო ვადიანობა **21.5 წელი**
- დარჩენილი ვადიანობა **9.4 წელი**

2024 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით მთავრობის საგარეო ვალის პორტფელის 48.4% შედგება ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე კრედიტებისგან. ეს გარემოება ხელს უწყობს საქართველოს მთავრობის საგარეო ვალის მომსახურების პარამეტრების დაცულობას საპროცენტო განაკვეთების ეგზოგენური რყევებისგან და უზრუნველყოფს ვალის მომსახურების ხარჯების შენარჩუნებას დაბალ დონეზე.





მთავრობის საგარეო ვალის სტრუქტურა - 2024 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით

კრედიტორი	ვალუტა	ნაშთი აშშ დოლარი	ნაშთი ლარი	საპროცენტო განაკვეთის ტიპი	საპროცენტო განაკვეთი
მთავრობის საგარეო ვალი		**8 606 889**	**23 161 999**		
მრავალმხრივი კრედიტორები		**6 507 903**	**17 513 418**		
განვითარების საერთაშორისო ასოციაცია(WB - IDA)	SDR	524 775	1 412 222	Fixed	1.20%
რეკონსტრუქციის და განვითარების საერთაშორისო ბანკი(WB - IBRD)	EUR	234 526	631 132	Fixed	2.95%
	EUR	485 183	1 305 676	Euribor + VS	4.62%
	USD	922 057	2 481 347	Ref.Rate + VS	6.64%
სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD)	SDR	22 358	60 167	Fixed	1.22%
	SDR	2 142	5 763	(Ref.Rate + IBRD VS)/2	2.68%
	EUR	12 487	33 603	Euribor+VS	4.83%
საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF EFF,MOF)	SDR	197 951	532 706	SDR Rate of Charge	4.82%
ევროკავშირი (EU)	EUR	147 323	396 460	Fixed	0.38%
ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი (EBRD)	EUR	224 092	603 054	Euribor + 1%	4.52%
აზიის განვითარების ბანკი (ADB)	SDR	394 352	1 061 242	Fixed	1.62%
	EUR	493 009	1 326 737	Fixed	1.11%
	EUR	1 059 737	2 851 857	Euribor + FS	4.37%
	USD	411 902	1 108 468	Ref.Rate + FS	6.35%
აზიის ინფრასტრუქტურის განვითარების ბანკი (AIIB)	USD	74 017	199 188	Ref.Rate + VS	7.15%
	EUR	144 441	388 707	Euribor + VS	4.34%
ევროსაბჭოს განვითარების ბანკი (CEB)	EUR	11 953	32 166	Fixed	2.17%
	EUR	3 555	9 566	Euribor + VS	4.28%
ევროპის საინვესტიციო ბანკი(EIB)	EUR	713 180	1 919 239	Fixed	1.96%
	EUR	427 012	1 149 133	Euribor + FS	4.09%
სკანდინავიური გარემოსდაცვის საფინანსო კორპორაცია (NEFCO)	EUR	1 852	4 985	Euribor + VS	5.49%
ორმხრივი კრედიტორები		**1 598 986**	**4 303 030**		
ავსტრია	EUR	11 957	32 177	Fixed	1.00%
აზერბაიჯანი	USD	1 151	3 098	Fixed	3.00%
თურქმენეთი	USD	211	568	Fixed	4.00%
თურქეთი	USD	2 242	6 033	Fixed	3.25%
ირანი	USD	840	2 260	Fixed	3.00%
რუსეთი	USD	7 870	21 178	Fixed	4.00%
სომხეთი	USD	1 016	2 733	Fixed	3.00%
ყაზახეთი	USD	1 252	3 370	Fixed	4.00%
გერმანია (KfW)	EUR	447 485	1 204 226	Fixed	1.04%
	EUR	162 940	438 489	Euribor + FS	4.34%
იაპონია	JPY	130 655	351 605	Fixed	0.75%
ქუვეითი	KWD	10 611	28 555	Fixed	2.66%
ნიდერლანდების სამეფო	EUR	26	71	Fixed	4.20%
ამერიკის შეერთებული შტატები	USD	7 809	21 013	Fixed	2.22%
საფრანგეთი	EUR	504 250	1 356 986	Fixed	1.09%
	EUR	308 672	830 668	Euribor + FS	4.19%
ფასიანი ქაღალდები		**500 000**	**1 345 550**		
ევრობონდი	USD	500 000	1 345 550	Fixed	2.75%
	საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი				**3.39%**

2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი ითვალისწინებს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და უცხო ქვეყნების მთავრობების მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი გრძელვადიანი საინვესტიციო კრედიტების ათვისებას 1 385 175.0 ათასი ლარის ოდენობით. ასევე, ბიუჯეტის მხარდამჭერი რესურსის სახით 600 000.0 ათასი ლარის მობილიზებას:

- ✓ საქართველოს ადამიანური კაპიტალის პროგრამის ფარგლებში:
  - მსოფლიო ბანკიდან (WB) მისაღები სახსრები - 132 000.0 ათასი ლარის ოდენობით;
  - საფრანგეთის განვითარების სააგენტოდან (AFD) მისაღები სახსრები - 30 000.0 ათასი ლარის ოდენობით;
- ✓ ჯანდაცვის სექტორის გაძლიერების პროგრამის ფარგლებში აზიის განვითარების ბანკიდან (ADB) მისაღები სახსრები - 69 000.0 ათასი ლარის ოდენობით;
- ✓ თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარების პროგრამისთვის - ქვეპროგრამა 2-ის ფარგლებში აზიის განვითარების ბანკიდან (ADB) მისაღები სახსრები - 69 000.0 ათასი ლარის ოდენობით;
- ✓ საქართველოს მწვანე მიმართულებაზე გადასვლის პროგრამის ფარგლებში:
  - საფრანგეთის განვითარების სააგენტოდან (AFD) მისაღები სახსრები - 150 000.0 ათასი ლარის ოდენობით;
  - გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KfW) მისაღები სახსრები - 150 000.0 ათასი ლარის ოდენობით.

სახელმწიფო საგარეო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისათვის საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებულია 2 185 000.0 ათასი ლარი, საიდანაც 1 350 000.0 ათასი ლარი წარმოადგენს ძირითადი თანხის დაფარვას, ხოლო 835 000.0 ათასი ლარი - პროცენტის თანხას.

საგარეო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა 2025 წლისთვის (პროგნოზი)

ათასი ლარი

კრედიტორები	**ვალების დაფარვა**	**პროცენტი**	**სულ**
ავსტრია	*5 053.5*	*281.0*	*5 334.5*
ქუვეითი	*4 942.0*	*708.7*	*5 650.7*
იაპონია	*19 553.6*	*2 514.2*	*22 067.8*
გერმანია	*273 561.3*	*44 486.6*	*318 047.9*
აშშ	*6 223.9*	*366.5*	*6 590.4*
სომხეთი	*2 762.4*	*63.2*	*2 825.6*
აზერბაიჯანი	*3 131.5*	*70.6*	*3 202.1*
ირანი	*2 284.2*	*51.7*	*2 335.9*
ყაზახეთი	*3 406.4*	*103.9*	*3 510.3*
ნიდერლანდების სამეფო	*70.8*	*2.2*	*73.0*
რუსეთი	*21 405.1*	*652.7*	*22 057.8*
თურქეთი	*6 097.7*	*151.1*	*6 248.8*
საფრანგეთი	*42 812.6*	*57 917.9*	*100 730.5*
IDA	*242 517.8*	*15 466.9*	*257 984.7*
IBRD	*104 160.0*	*261 250.9*	*365 410.9*
IFAD	*7 625.2*	*2 697.0*	*10 322.2*
EBRD	*98 351.8*	*34 892.0*	*133 243.8*
EIB	*53 989.4*	*87 043.4*	*141 032.8*
ADB	*347 493.7*	*227 845.7*	*575 339.4*
IMF	*88 631.2*	*23 515.9*	*112 147.1*
EU	-	*1 523.9*	*1 523.9*
CEB	*179.8*	*1 113.1*	*1 292.9*
AIIB	*14 972.0*	*34 253.7*	*49 225.7*
NEFCO	*774.1*	*627.2*	*1 401.3*
ევრობონდი	-	*37 400.0*	*37 400.0*
სულ	***1 350 000.0***	***835 000.0***	***2 185 000.0***

მთავრობის საშინაო ვალი

2024 წლის 8 თვის განმავლობაში საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ განახორციელა 1 წლამდე ვადიანობის სახაზინო ვალდებულებების და 1 წელზე მეტი ვადიანობის სახაზინო ობლიგაციების გამოშვება. 2024 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით სახაზინო ვალდებულებების და ობლიგაციების ბოლო აუქციონებზე დაფიქსირებულმა საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთებმა საწყისი ვადიანობის მიხედვით შეადგინა: 6 თვიანზე 7.8%, 12 თვიანზე 7.8%, 5 წლიანზე (ნარჩენი ვადიანობა 5 წელი) - 8.8%, 7 წლიანზე (ნარჩენი ვადიანობა 7 წელი) – 9.2%, 10 წლიანზე (ნარჩენი ვადიანობა 3 წელი) – 9.1%, 11 წლიანზე (ნარჩენი ვადიანობა 10 წელი) - 9.5%.

მთავრობის საშინაო ვალის ნაშთმა 2024 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით შეადგინა 9 379.3 მლნ ლარი, აქედან 9 123.9 მლნ ლარი წარმოადგენს ნაშთს სახაზინო ვალდებულებების და ობლიგაციების ნაწილში, 210.8 მლნ ლარი - „ობლიგაცია სებ-სთვის და ღია ბაზრის ოპერაციებისათვის“ ნაწილში და საბიუჯეტო ორგანიზაციების სესხის სახით არსებულ ნაშთი - 44.6 მლნ ლარი.

ფასიანი ქაღალდების დაუფარავი მოცულობა ნომინალებში ვადის და ტიპის მიხედვით და საბიუჯეტო ორგანიზაციების სესხის სახით არსებული ვალის ნაშთი
2024 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით

ათასი ლარი

სულ	**9,239,814.1**
სახაზინო ფასიანი ქაღალდები	**8,984,386.0**
სახაზინო ვალდებულებები (1 წლამდე ვადის მქონე)	360,000.0
სახაზინო ობლიგაციები (1 წელზე მეტი ვადის მქონე)	8,624,386.0
სხვა ფასიანი ქაღალდები	**210,846.0**
ობლიგაცია სებ-ისთვის	40,846.0
ობლიგაციები ღია ბაზრის ოპერაციებისთვის	170,000.0
საბიუჯეტო ორგანიზაციების სესხის სახით არსებული ვალი *	**44,582.1**
მ.შ. სამთავრობო სექტორისათვის მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოები	*17,086.3*

** საბიუჯეტო კოდექსში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, გათვალისწინებულია სამთავრობო სექტორისათვის მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების სესხის სახით არსებული ვალი 2022 წლის დეკემბრიდან*

2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი ითვალისწინებს სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების გამოშვებიდან მიღებულ საპროგნოზო თანხას 3 350 000.0 ათასი ლარის ოდენობით და საშინაო ვალდებულებების მოსალოდნელ კლებას 1 750 000.0 ათასი ლარის ოდენობით. შესაბამისად, 2025 წლის ბოლოს მდგომარეობით საშინაო ვალდებულებების წმინდა ზრდის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 1 600 000.0 ათას ლარს (3 350 000.0 – 1 750 000.0).

2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი ასევე ითვალისწინებს სახელმწიფო ობლიგაციების ძირითადი თანხის დაფარვას (სებ-ის მიმართ ვალი) – 40 000.0 ათასი ლარის ოდენობით საქართველოს მთავრობის და საქართველოს ეროვნული ბანკის 2006 წლის 15 მაისის „საქართველოს მთავრობის საქართველოს ეროვნული ბანკისადმი დავალიანების დაფარვის ღონისძიებების შესახებ“ 2006 წლის 20 მარტის შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ შეთანხმების შესაბამისად.

სახელმწიფო საშინაო ვალდებულებების პროცენტის მომსახურებისათვის საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიით გათვალისწინებულია 900 000.0 ათასი ლარი.

2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული საგარეო და საშინაო ვალის პარამეტრები უზრუნველყოფენ სახელმწიფო ვალის მდგრადობის შენარჩუნებას საშუალოვადიან პერიოდში.

მთავრობის ვალის საპროგნოზო ზღვრული მოცულობა 2025 წლის ბოლოსთვის

ათასი ლარი

კრედიტორი	საპროგნოზო ნაშთი
	31.12.2025
სულ მთავრობის საგარეო ვალის ზღვრული მოცულობა	**24,273,205.4**
მრავალმხრივი კრედიტორებისაგან	**17,887,930.7**
აზიის განვითარების ბანკი (ADB)	6,247,039.0
აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი (AIIB)	602,336.4
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)	678,634.3
ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB)	3,512,015.5
ევროკავშირი (EU)	401,806.3
მსოფლიო ბანკი (WB)	5,887,906.8
სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD)	98,364.2
საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)	402,869.9
ევროსაბჭოს განვითარების ბანკი (CEB)	42,113.8
სკანდინავიური გარემოსდაცვის საფინანსო კორპორაცია (NEFCO)	14,844.6
ორმხრივი კრედიტორებისაგან	**5,028,474.7**
ავსტრია	24,957.1
საფრანგეთი	2,384,063.2
გერმანია	2,249,455.5
იაპონია	335,899.1
ქუვეითი	22,682.3
თურქმენეთი	572.8
ამერიკის შეერთებული შტატები	10,844.8
სხვა საგარეო ვალდებულებები	**1,356,800.0**
ევრობონდი	1,356,800.0
მთავრობის საშინაო ვალის ზღვრული მოცულობა	**11,553,859.9**
სხვადასხვა ვადის სახელმწიფო ობლიგაციები ღია ბაზრის ოპერაციებისთვის	152,846.0
ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები	337,208.9
ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები	11,049,837.9
საბიუჯეტო ორგანიზაციების სესხის სახით არსებული ვალი	13,967.1
სულ მთავრობის ვალის ზღვრული მოცულობა	**35,827,065.3**

ცხრილში გამოყენებულია 2024 წლის 19 სექტემბრის გაცვლითი კურსი: 1 EUR = 3.0211 GEL; 1 SDR = 3.6541 GEL; 100 JPY = 1.916 GEL; 1 KWD = 8.9 GEL; 1 USD = 2.7136 GEL.